№ 1

5 იანვარი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

### ხვალ 6 იანვარს ტფილისის კრუჟოკის დარბაზში გამართული იქნება ჩვეულებრივი

# სათავად-აზნაურო ბალი

ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.

ბალის გამგე კნეინა **იულია კონსტანტინეს ასული თუმანიშვილი.**

---

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА" **К. П. Туманову.**

გაზეთი **„ივერია"** გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირის დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

სარედაქციო ნაწილის გამგე **კ. პ. თუმანიშვილი.**

რუსული ყოველ-დღიური გაზეთი

**„Закавказское Обозрѣніе"**

ფასი წლიურად ტფილისში 6 მან. ნახევარის წლით 3 მან. 50 კაპ. ტფილისს გარეთ წლიურად 8 მან. ნახევარი წლით 4 მან. 50 კაპ. თვიურად ყველგან 75 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь, д. Гургенова, ряд. съ конторою нотаріуса Мгеброва. 0—1

## ამხ. „სორაპანისა"

[illegible] ...ვიჯდება, რომ ყველასათვის ხელ მისაწვდომი იქნეს წიგნის შეძენა. ჩვენ შეძლებას ვაძლევთ მსურველს პროვინციის ყველა დაბა-ქალაქში ჩვენ აგენტებთან მოაწერონ ხელი გამოცემას და იქვე მიიღონ გამოცემული წიგნიც.

ამ მოსაზრებით განვიზრახეთ, გამოვცეთ რამოდენიმე წიგნი, ყველაზედ უწინარეს კაზმულ მწერლობის ნაწარმოები, ამ საერთო სათაურით:

## ქართველი და უცხოელი მწერლები

ჩვენს გამოცემულ წიგნებში დაიბეჭდება როგორც ახალი, არსად არ დაბეჭდილი ნაწარმოები, ისე ძველი, უკვე დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებში და სხვ.

წიგნი იქნება მოზრდილი ტანისა, 200 გვ., სუფთად და ლამაზად დაბეჭდილი.

**წიგნის საერთო ხელმძღვანელობა იკისრა „ფასკუნჯის" რედაქციამ.**

პირველად დაიბეჭდება ვაჟა-ფშაველას **„ცრემლები"**, დაუბეჭდავი ლექსები და პოემები.

**წიგნები ეღირება ყველგან 25 კ. და მიეცემა მხოლოდ ხელის მომწერთ.**

ვისაც სურს წიგნის დაკვეთა უსათუოთ ხელი უნდა მოაწეროს შემდეგ ადგილებში:

ტფილისში წ.-კ. საზ. მაღაზიაში, „ნ. რეხ"-ის წიგ. მაღაზიაში, „ალიონი"-ს წიგ. მაღაზიაში; გორში—მგალობლიშვილის და კალანდაძის წიგ. მაღ.; მიხაილოვში—აფ. ებანოიძესთან. მანუფ. მაღ.; ყვირილაში—„სორაპანი" ივ. გაჩეჩილაძე; ჭიათურაში—პირტახია; ქუთაისში—„იმერეთის" წიგ. მაღ. კვიცარიძე; სამტრედიაში—ე. კოხრეიძე და კოპალეიშვილი; ოზურგეთში—წიგ. მაღ. თალაკვაძე; ლანჩხუთში—წულაძე; ჩოხატაურში—ის. მეგრელიშვილი; ფოთში—იოსებ კოხრეიძე ბათუმში—სილიბისტ. ფირცხალაშვილი; თელავში—ონიკაშვილი, სიღნაღში—ივ. შალიკაშვილი.

ხელის მოწერა დაიწყება 6 იანვარს და გათავდება 23 იანვარს. შემდეგ ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. იანვრის 25 დაიწყება წიგნის ბეჭვდა და დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება. ხელის მომწერთ შეუძლიანთ დაბეჭდილი წიგნი მიიღონ იმ აგენტისაგან, ვისთანაც დაბეჭდილი 25 კ. კვიტანცია იყიდა.

პირველი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერლებს 15 თებერვალს.

**წიგნი კერძოთ გასასყიდათ არ გამოვა.**

ვისაც ესურვება პირდაპირ ფულის გამოგზავნა, მან უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Т—во „Сорапанъ", М. Гачечиладзе. ფულის მაგიერ მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

**კაბინეტი** ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა, ყორღანოვის ქუჩა. საკუთარი სახლი, № 20, ტელ. 791.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 საათ. და საღამოს 5—6 საათ., ვერა, ოლგის ქუჩა, № 34, ს. სარაჯიშვილისა.

**ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პროსპექ. № 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა.

**ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი**

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქ., № 11.

**ექიმი ვ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით—9 ს., საღამოთი 5—7 საათ. ავჭალის ქუჩა, № 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი ქუჩა № 9.

**ქუთაისის ექიმები:**

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა).

**ექიმი ჯაფარიძე**

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა.

**ექიმი ა. ი. აშიანცი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საგოსპიტალო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 საათ. ტფილისის ქუჩა, სახლი რუხაძისა, № 20.

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე**

იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 9—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. № 29 ჩარექოვისა.

**ექიმი ვ. წერეთელი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულობით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 12—2 ს. და საღამოთი 4—6 საათ.

**ექიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდის. გენერალის ქუჩა. ქურთოევის სახლი № 1.

8 დეკემბერს გაიხსნა
თფილისის

## კერძო სამკურნალო
(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღეს მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქ., 8; ს. ენფენჯიანცისა (ტელეფონი 695.)

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ-დღე გარდა ოთხშ. და კვირისა $8\frac{1}{2}$—$9\frac{1}{2}$ საათამდე **შინაგანი.**

**ექ. ვ. დ. ლამბაშიძე:** ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. **შინაგ.** და **ბავშვ.** ავადმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ. 12—1 ს.; **ყელის, ცხვირის** და **ყურის** ავადმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 12—1 ს.; **შინაგან** ავადმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ-დღე; $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს.; **სიფილ., ვენ.** და **კანის** ავადმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოვ. დღე; 1—2 ს.; **დედათა და ქირურგ.** ავად.

**ექ. ი. გ. გომართელი:** ყოვ. დღე; 2—3 ს.; **შინაგან.** და **ბავშვ.** ავადმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—$2\frac{1}{2}$ ს., **თვალის** ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები **რჩევისათვის 50 კაპ.** ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება **სტაციონალური განყოფილებ 30 საწოლით.**

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის $8\frac{1}{2}$—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

---

### ტფილისი, 5 იანვარი

ჩვენი გაზეთის რედაქციას აზრათ აქვს მკითხველ საზოგადოებას კვირაში ერთხელ ცხოვრების თანამედროვე ვითარებაზე გაებაასოს. ამ ბაასს თავისებური მნიშვნელობა ეძლევა იმით, რომ რედაქცია საქართველოში არსებულ სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიას არ ეკედლება და ფიქრობს, რომ არც ერთ პარტიის პროგრამა სავსებით არ ეთანხმება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველო რუსეთის რევოლუციას მოუმზადებელი დაუხვდა, რომ მას არ ჰქონდა გამორკვეული საკუთარი იდეალები, რომ მთელი ეგრედ წოდებული ერთობა გამოხატავდა მხოლოდ საერთო უკმაყოფილებას და სრულებით მოკლებული იყო საერთო მიზნის და ამ მიზნის მისაღწევ საშუალებათა შეგნებას.

მართალია, ჩვენში რევოლუციის დაწყებამდისაც მოქმედობდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია, ერთობის დროს ხალხმა ჩვენში წითელი დროშა თამამად აათრიალა და სახელმწიფო სათათბიროსათვის დეპუტატების არჩევაში სამჯერ ზედი-ზედ დიდი ერთსულოვნება და სიმტკიცე გამოიჩინა.

მაგრამ ყოველივე ეს ხალხის პოლიტიკურ შეგნების დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება. მართლაც, ტყეში გზა-დაბნეული რომ ვიყო და ვინმე უცნობის სიტყვას დავენდო, ამ უცნობისაგან ნაჩვენებ ბილიკს დავადგე და ამით ხრამში გადავიჩეხო, ეს, განა, ჩემგან ტყეში გზის ცოდნა იქნება?..

ქართველი ერიც რევოლუციის დროს —საკუთარ იდეალებს მოკლებული— გზა-დაბნეული გამოდგა და პოლიტიკურ პარტიების სიტყვას გულ-უპყვრილოდ დაენდო; ქართველი ერიც ამ პარტიებისაგან ნაჩვენებ გზას დაადგა და ბოლოს რეაქციის ხრამში ჩავარდა. ეს ნდობაა, სხვისი ფეხის ხმის აყოლა და არა პოლიტიკური შეგნება...

ასი წლის განმავლობაში მონობას ჩვეული ქართული ერი დღეს კიდევ საკუთარ იდეალების წამოყენებას ვერ ახერხებს და პოლიტიკურ აზროვნებაში დამოუკიდებლად მოქმედებას ვერ ბედავს. კრძალვით და მოწიწებით გავიხედებით დღესაც კიდევ სხვა ერისაკენ და ჩვენი ეროვნული წყლულის მალამოს იქიდან მოველით...

გვავიწყდება, რომ იქ მომზადებული მალამო ჩვენ წყლულს არ მოუხდება. სხვაგან, სხვა დროს და სხვა პირობებში შემუშავებული პოლიტიკური პროგრამები ჩვენში შეუცვლელად ვერ გამოდგება და სწორედ შეუცვლელად მათს გადმოტანას კი გვეუბნებოდენ,—ხალხს არწმუნებდენ,—საკუთარ პოლიტიკურ პროგრამის შედგენა სრულიად რუსეთის სარევოლუციო მოძრაობის ღალატი იქმნებაო, საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ზრუნვა ამ მოძრაობიდან გამოთიშვად მიაჩნდათ.

ეს აზრი რუს მემარჯვენეთა აზრს გაგვახსენებს. პურიშკევიჩ—კრუშევანებიც სეპირატისტობას პოულობენ არა რუს ერთა ეროვნულ მისწრაფებაში, ეს მისწრაფება ზოგიერთ ჩვინებურ პოლიტიკურ მოღვაწესაც სეპარატისტურ, შოვინისტურ მისწრაფებად მიაჩნდა.

ხალხიც მათ ენდობოდა და გარედან, ჩრდილოეთიდან გადმოტანილ პროგრამებს იმეორებდა!..

ჩვენ, ქართველები, წინეთ ასი წლის განმავლობაში ეროვნულად დაჩაგრული ვიყავით,—ამის უარის ყოფა ქართველების მტერსაც არ შეუძლია. დაჩაგრული ვიყავით იმით, რომ სახელმწიფოში არ გვქონდა იგივე უფლებები, რომელიც სხვებს, მაგ. რუს ეროვნებას ჰქონდა მინიჭებული. ჩვენი წარსული ცხოვრების რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ ამ უსამართლო განსხვავების დაღი ყველას თანასწორად ეტყობა.

ეს განსხვავება სწავლა-განათლების საქმეში განსაკუთრებით თვალ-საჩინოა. ქართველ ბავშვს არ შეეძლო თავის დედა-ენაზე მიეღო სწავლა, საშუალო სასწავლებლებში ქართულად სწავლება აკრძალული იყო, ქართულ უნივერსიტეტის ხსენება ხომ დამცინავ ღიმილსაც ჰგვრიდა იმათ, ვისაც ჩვენში სწავლა განათლების საქმე აქვს ჩაბარებული. ქართველი ბავში იძულები იყო თავის დედა-ენას გარდა სხვა ენაც ესწავლა, ამ სხვა ენაზე შეეთვისა ცოდნა საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში,—ამითი იგი სწყდებოდა ხალხს და ვერ ახერხებდა შემდეგ თავისი ახლად შეძენილი ცოდნა ხალხისთვის თავის დედა-ენაზე გაეზიარა.

სასამართლოში ქართულად დეწერილი არზა არ გამოდგება, ქართული სიტყვა მსაჯულისათვის გაუგებარია, აგრეთვე ყოველ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაშიაც—ვისაც აქ საქმე აქვს რამე, ან რუსული ენა უნდა ისწავლოს ან თარჯიმანი და ვექილი დაიქირავოს და მათს რუსულ ენაში ფული გადაიხადოს. ეკლესიებშიაც, იქ, სადაც ადამიანი ღმერთს ევედრება და საქაო ვარამს საიქიო გატაცებით ივიწყებს, ქართული ენა იდევნება და ხალხს ღმერთთანაც რუსულად მოლაპარაკე ვექილი სჭირდება...

ქართულ ენის ასეთმა მდგომარეობამ დიდი ვნება მოუტანა ხალხის კულტურულ განვითარებას. მის უუფლებობით აიხსნება, რომ დღეს კიდევ, რუსეთთან ასი წლის „მყუდრო" ცხოვრების შემდეგ, ქართველ ერს საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო მწერლობა არა აქვს და ცნობის მოყვარე ქართველი საჭირო ცოდნას ვერას გზით ვერ შეიძენს, რომელიმე უცხო ენა, უფრო ხშირად კი რუსული ენა თუ არ ისწავლა...

ამიტომ შესუსტდა ქართველებში შემოქმედებითი ძალა, ამიტომ რუსეთთან

ასი წლის ყოფნამ ქართველი ერი კულტურულად დააქვეითა,

რად გვინდა ჩვენ ქონებრივი სიმდიდრე, რად გვინდა პოლიტიკური თავისუფლება თუ არა იმისთვის, რომ ხალხის ფართო მასსებმაც იგემონ კულტურის ნაყოფი და კულტურის უფრო მაღალ საფეხურამდის ავიდენ? სიმდიდრე და პოლიტიკური თავისუფლება საშუალებაა, კულტურული განვითარება კი მიზანი.

ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია იქ, სადაც ხალხს კულტურულ ზრდის სიყვარული არა აქვს და მისდამი ძლიერი მისწრაფება ერის საზოგადო ცხოვრებას სარჩულად არ უდევს.

ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ქართველებში კულტურულ განვითარების **სურვილი** უნდა იყოს, სურვილი ძალას ჰქმნის, ძალა აუცილებელია გამარჯვებისთვის, ძალა ზნეობრივი, უდრეკი ძალა ეროვნულ მისწრაფებისა.

კულტურა ყოველთვის ეროვნულია, არ შეუძლია არც ერთ ერს, თავის ეროვნების დაუკარგავად, უცხო ენაზე შეიძინოს ყოველი ცოდნა; არ შეუძლია თავის საჭიროებათა დაკმაყოფილება და ამით კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა იმ ერს, რომელიც ამ საჭიროებათა უბრალო დასახულებასაც ვერ ბედავს და კრძალვით თუთიყუშივით იმეორებს იმას, რაც სხვა ერმა, სხვა პოლიტიკურ პირობებში მყოფმა საჭიროდ იცნო **თავის** მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენ, ქართველებისათვის, ბევრი რამ ისეთი არის საჭირო, რომელიც ციმბირში მცხოვრებ ხალხისთვის სრულებით უმნიშვნელო ზ გაუგებარია. პოლონელებს სხვა წყლული აწუხებ', ფინლანდელებს კიდევ სხვა რამე აქვს საფიქრებელი, ებრაელები თითქმის ყოველ უფლებას მოკლებული არიან, მაჰმადიანები განკერძოებით დგანან და თავისებურად აპირებენ ცხოვრების მოწყობას. ყოველი ერი განსაკუთრებულ პირობებშია ჩაყენებული, ყოველი ერი ცალკე ტაფაში იწვის. მართალია ყველა ეს ტაფა იმავე ცეცხლზე დგას,—სხვის კულტურულ გაბატონებას ებრძვის, მაგრამ ეს ბატონობა ყველას თანასწორად არ სჩაგრავს და ყველასაგან ბრძოლის იმავე საშუალებას არ ითხოვს.

ამიტომ ეროვნულ, განსაკუთრებულ პროგრამის შემუშავება მიუცილებელია ყოველ ერისთვის, რომელსაც სურს არ შეურიგდეს თავის ეროვნულ დაჩაგვრას და უნდა უფლებებით სახელმწიფოში ყველა სხვა ეროვნებას გაუთანასწორდეს.

ამიტომ ჩვენც,—ქართველებმაც,- მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და ამ მდგომარეობის მიხედვით, მის შესაფერისად იმ გზას დავადგეთ, რომელიც უფრო მალე მოგვანიჭებს ეროვნულ თანასწორობას და ამით შემდეგში მაინც ხალხის კულტურულ ზრდა-განვითარებისათვის მუშაობას შეგვაძლებინებს.

საჭიროა ქართველების ეროვნული პროგრამა.

ეროვნული მიმართულება ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას სარჩულად უნდა დაედოს!..

— —

ქართველების ეროვნული მიმართულება ეკლად ესობა გულში ყველას, ვისაც ქართველების კულტურული აღორძინება ან არ ახარებს ან ეჯავრება. ეხლავე ვიცით, რა განგაშს ასტეხენ ჩვენგან თამამად წარმოთქმულ აზრის შესახებ ქართველების მტერ-მოყვარენი. მათი წინააღმდეგობა ჩვენთვის მოულოდნელი არ არის, მათი მტრობის არ გვეშინიან,—ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს ეროვნულ იდეას, რომელიც უკვდავია თვითონ და უკვდავად ხდის მის მიმდევარ ყოველ ეროვნებასაც.

ვიცით, იტყვიან,—ეროვნული მიმართულება ბურჟუების შოვინისტური ანკესი არის, სოციალურ იდეალების ჩასაფუჩჩებელი და მშრომელ ხალხის თვალის ამხვევი,—ვიცით, რადგან ეს აზრი წინეთაც ხშირად გაგვიგონია. ხალხის ინტერესების ვითომ-დამცველებს თითქოს არ ახსოვთ ის გარემოება, რომ ეროვნული თავისუფლება სწორედ ხალხის ფართო მასსებისათვის უფრო საჭირო და სასარგებლოა, ვიდრე მდიდარ ხალხისთვის, რომელიც გადაგვარების გზასაც უფრო ადვილად ადგება და უცხო კულტურასაც უფრო ადვილად ითვისებს. პირველ დაწყებითს სასწავლებლიდან რომელიმე ენისა განდევნა, ამ ენაზე საჯარო ლექციების აკრძალვა, ყოველივე ეს ფართო მასსებს ხვდება და არა ხალხის შეძლებულ ნაწილს. ამ ფართო მასსებმა უნდა შეიგნონ ეს და ყველა, ვინც ამ შეგნებას ხელს უშლის, ხალხს თვალს უხვევს და უცხოეთში შემუშავებულ პროგრამებით აკმაყოფილებს, ან ხალხის მტერია, ან უგნური ადამიანი, რომელმაც „არა იცის რასა იქმს“.

ვიცით, იტყვიან, რომ ეროვნული მიმართულება შოვინისტურია და რომ მას მიზნად აქვს სხვა ეროვნებათა დაჩაგვრით ქართველების გაბატონება...

როგორც ყოველი ბრძოლა, ეროვნული ბრძოლაც ორნაირია: სატევი და საგერი. სატევი ეროვნული მიმართულება მართლაც მიზნად ისახავს ერთ ეროვნების გაბატონებას, სხვების გადაგვარებას, სხვის უუფლებობით საკუთარ გაძლიერებას,—ასეთ გზას ადგიან გერმანიაში მაგ. გერმანელები: სახელმწიფოში მათ კანონითვე პირველობა აქვთ მინიჭებული, მათი ენა სახელმწიფო ენად არის ცნობილი, მთავრობა მათ ყველგან ყოველივე უპირატესობას ანიჭებს... მათში ეროვნულ გრძნობის გაძლიერება ხშირად ისახავს მიზნად სახელმწიფოში ყველა სხვა, არა გერმანელ ეროვნებათა მოსპობას, გადაგვარებას, რომ გერმანიის ყოველ კუთხეში მხოლოდ გერმანული ენა ისმოდეს, გერმანელის გული სძგერდეს და გერმანელ ეროვნების ზნე ჩვეულება იყოს შემოღებული.

ასეთ სატევ ეროვნულ მიმართულებასთან საბრძოლველად ყველა მცირედი და სუსტი ეროვნება ადრე იქნება თუ გვიან საგერ ეროვნულ მიმართულებას უნდა დაადგეს, სატევ ეროვნულ მიმართულებას მიზნად დასახული აქვს სხვისი დაჩაგვრა, საგერ ეროვნულ მიმართულების მიმდევარი კი ცდილობს დაჩაგვრის მოსპობას და სახელმწიფოში სრულ ეროვნულ თანასწორობის და თავისუფლების შემოღებას. მცირე, დაჩაგრულ ერის საგერი ეროვნული მიმართულება — თავის დამცველია, მას სხვისი დაჩაგვრა არ შეუძლია, საგერი ეროვნული მიმართულება სამართლიანია, რადგანაც სახელმწიფოში ერთ ეროვნების გაბატონება და მის სასარგებლოდ ყოველ ეროვნულ სხვადასხვაობის მოსპობა სამართლიანობის სურვილით არ აიხსნება...

ქართველებიც მხოლოდ თავის დაცვას სცდილობენ და ამიტომ საგერ ეროვნულ მიმართულებას ადგებიან. განსაცდელს ვიგერებთ, თავს ვიფარავთ და ვცდილობთ, რომ აქ, საქართველოში, შეუძლებლათ გავხადოთ ვისიმე ეროვნული გაბატონება. ეს მიზანი მალე მთელ ქართველ ერს შეაკავშირებს,—სამი წლის გამოცდილებამ ხალხს დაანახვა, რომ მას სხვისი იმედით გაჩერება არ არგებს, რომ საკუთარ ძალით უნდა ეცადოს მან თავის იდეალების მიღწევა, რომ ეს იდეალები, მის ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს უნდა ეთანხმებოდეს...

ეროვნული მიმართულება ზოგიერთს სეპარატისტული ჰგონია, ფიქრობენ, რომ ქართველები პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მიღწევას ცდილობენ... ასი წლის განმავლობაში ჩვენი მამა-პაპები სისხლს ღვრიდენ ომის ველზე და ხაზინისთვის საკუთარ ქონებას არ იშურებდენ, რომ ამით ძლიერი რუსეთი შეექმნათ და ნუ თუ ახლა ამ ძლიერ რუსეთს ჩამოვშორდებით, მას ისევ ძლიერად დავტოვებთ და ჩვენთვის შავი ზღვის პირად სუსტ და ხანმოკლე სახელმწიფოს დაარსებას ვისურვებთ? ამ სისუსტეს რუსეთთან ყოფნით სიძლიერე არ გვირჩევნია? ჩვენ არავითარი ჩამოშორება არა გვსურს, ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ ძლიერ სახელმწიფოში ჩვენ ეროვნულად დაჩაგრული არ ვიყოთ და სრულ ეროვნულ თანასწორობის შემოღებას ვეღირსოთ. ჩვენ ვიცით რომ ეროვნული დაჩაგვრა შინაურ განხეთქილებას იწვევს, ერთ ეროვნებას სხვა ერის მტრადაც ხდის, შინაურ ბრძოლის მიზეზად ხდება და ამით სახელმწიფოსაც ასუსტებს. ჩვენ ვიცით, რომ ეროვნული დაჩაგვრა ხშირად სახელმწიფოს დამღუპველი გამხდარა და, რაკი რუსეთის დაღუპვა არა გვსურს, რაკი მისი დასუსტება არ გვინდა, ამიტომ ვცდილობთ მოისპოს ყოველივე ეროვნული ქიშპობა, ქართველი ერი თავის თავს დაჩაგრულათ არ გრძნობდეს და რუსეთში მცხოვრებ ყველა სხვა ეროვნებასთან ერთად შესძლოს თავისი ძალები ადგილობრივ ხალხის კულტურულ ზრდას და სახელმწიფოს პოლიტიკურ გაძლიერებას შესწიროს. ამნაირად სეპარატისტობისაკენ იწვევს ხალხს სატევი, სხვის დამჩაგვრელი ეროვნული მიმართულება, ჩვენი, საგერი ეროვნული მიმართულება კი ეწინააღმდეგება ყოველივე სეპარატისტულ მისწრაფებას და სხვა და სხვა ეროვნებას საერთო მიზანს უსახავს—სახელმწიფოს გაძლიერებას.

— —

ეროვნული მიმართულება მხოლოდ მაშინ არის მტკიცე ნიადაგზე დაყენებული, როდესაც მას სარჩულად უდევს დემოკრატია.

იქ, სადაც ხალხის ფართო მასსების კეთილდღეობა მიზნად დასახული გვაქვს, აუცილებლად საჭიროა, რომ თვით ამ მასსებმაც საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ. სხვებისთვის თავს არავინ იცხელებს, თუ არა ქველმოქმედი და საზოგადო ცხოვრება კი ქველმოქმედება არ არის. ერმა თვითონ უნდა ისურვოს ერთხელვე დასახულ იდეალების მიღწევა, მისმა ფართო მასსებმა უნდა სძლიონ ყოველივე დაბრკოლება.—როდესაც ერის ყველა ნაწილი ერთ რომელიმე აზრით და სურვილით არის გატაცებული, მაშინ იგი ძლიერი და უძლეველია.

ქართველი ერი ამ მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მისი ინტელიგენცია უმეტეს ნაწილად სრულ არა-რაობაში ჩავარდნილია და გულ-აგარებით, გულ-ცივად უყურებს ხალხის თანდათან გადაგვარებას, ფართო მასსები კი ვერ ახერხებენ თავის საკუთარ იდეალების წამოყენებას,—პოლიტიკურ პარტიების პროპაგანდამ გახრწნა ხალხი და ისედაც დაჩაგრული, დამოუკიდებელ აზროვნებას გადაჩვეული მასსები გონებრივად ახალ მონობაში ჩააგდო. წინეთ მთავრობის ბრძანება, შორიდან მოვლენილი კანონი თუ განსაზღვრავდა ხალხის ცხოვრებას, ახლა პარტიის ბრძანება და შორიდან მოვლენილი პოლიტიკურ პარტიის პროგრამმა გახდა სავალდებულოდ ამ ბრძანებაში, კანონსა და პროგრამაში ქართველ ერის ეროვნული იდეალები ნახსენები არ იყო,—კარგად გვახსოვს ის დრო, როდესაც ეროვნებაზე უბრალო ლაპარაკიც ვერ გაებედნა ყველას, მისი ხსენებაც ზოგან თითქმის არ შეიძლებოდა.

ამნაირად ეროვნულ იდეალებს დამცველი არ ჰყავდა,—ინტელეგენციაც და ხალხის ფართო მასსებიც გვერდს უხვევდენ მას და ამით ქართველ ერის კულტურულ ზრდას გზას არ უხსნიდენ.

ამ უბედურ მდგომარეობას შველა უნდა, საჭიროა, ხალხმა გაიგოს, რომ შორიდან მოვლენილი პროგრამა მისთვის საკმარისი არ არის, საჭიროა ქართველმა ინტელიგენციამ „გაბედოს“ და ქართველ ერი ეროვნულ აღორძინების საქმეს თავისი შრომა, ცოდნა და გატაცება შესწიროს.

ამაზე შემდეგ.

**კ. თუმანიშვილი.**

## ფიქრი საქართველოს მომავალზე.

— 

მეცნიერულად დამტკიცებულია ის აზრი, რომ ერი ცხოველი არსება—ორგანიზმია. ეს ორგანიზმი ბოლომდე განვითარებული კი არ არის, იგი განვითარების გზას ადგია. ამ განვითარებისთვის აუცილებლად საჭიროა ეროვნული თავისუფლება.

გერმანია ფეხზე წამოდგა და ძლიერი სახელმწიფო გახდა მხოლოდ მას აქედ, რაც შეიგნო და მოიპოვა ეროვნული თავისუფლება. ამასვე ამტკიცებს იტალიის ეხლანდელი მდგომარეობა. ავსტრიაში ბევრი სხვა და სხვა ერია, ყველა შრომობს, ყველა იბრძვის თავისუფლების მისაღწევად. უნგრეთი დღეს წარმატებაშია; ჩეხიამ თუმცა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია თავის სურვილს, მაგრამ დაუღალავად მისდევს ეროვნულ აღორძინების გზას. ჩეხებმა ამ ოცდაათი წლის წინედ დააარსეს ერთი საზოგადოება, რომელსაც „სოკოლსა“ ეძახიან. ეს სავარჯიშო, გიმნასტიური საზოგადოებაა გარეგან შეხედულობით, ნამდვილად კი არის გაწვრთნილი, თავგადადებული ახალგაზდა ჯარი, მამულის სიყვარულით შეერთებული და აღფრთოვნებული. ამ ჯარში არც ფედერალისტია, არც სოციალ-დემოკრატი, არც ანარქისტი, ან, თუ გნებავსთ, ყველა ეს არის, არის ყოველი მიმართულების კაცი, მაგრამ ჯერჯერობით ყოველი მიმართულება განზე გადადებულია, გარდა მხოლოდ ერთისა —სამშობლოს განთავისუფლებისა. ეხლა ჩეხიას შეუძლია, საჭიროება თუ მოითხოვს, წარმოადგინოს ასი ათასი ახალგაზდა და გაწვრთნილი მეომარი. სერბია და ბოლგარია, ამ ოცდა-ათი-ორმოცი წლის წინედ დაჩაგრული, ღარიბი და საცოდავი პროვინციები, ეხლა თავისუფალი და განვითარების გზაზე დამდგარი სახელმწიფონი არიან. ჩერნოგორიაში 270,000-მდე მცხოვრებია, თითქმის ათჯერ უფრო ნაკლები საქართველოზე, მაგრამ თავისუფლება მაინც შეიძინა და განვითარების გზას დაადგა.

მხოლოდ ის ერი მიდის წინ, იძენს განათლებას და სიმდიდრეს, ვინც მოიპოვა ეროვნული თავისუფლება.

ეროვნული მისწრაფება არის უმთავრესი მიმართულება მსოფლიო მოძრაობისა. ევროპიდან წამოსულმა ტალღამ გადმოიარა ავსტრია და უნგრეთი, სერბია და ბოლგარია, მიაღწია სტამბოლს და დღეს თუ ხვალ უნდა გაიტაცოს საქართველოც.

### რანი ვართ დღეს?

ერი-ორგანიზმია, ამ ორგანიზმს დროთა ვითარებამ წაგლიჯა თავი და გაანადგურა მისი ნერვიული სისტემა. ამიტომ წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის დავკარგეთ ეროვნული თვითშეგნება. ამ თვითშეგნების დაკარგვას ისეთი მნიშვნელობა აქვს ერისთვის, როგორიც გონების დაბნელებას ადამიანისთვის. მაშინ დაიქსაქსა და გადაგვარდა ერთი დიდი ნაწილი ჩვენი ერისა. ამით ისარგებლეს სხვებმა,—წაგვართვეს მიწა და დაურიგეს უცხო ქვეყნებიდან გადმოხვეწილ ხალხსა: სომხებს, ბერძნებს, ნემცებს, რუსებს და სხვებს; ის მიწა, რომელსაც ოცი საუკუნის განმავლობაში იცავდა ქართველი ერი, რა საკვირველია, თავისთვის და არა უცხოელებისათვის ჩვენი ეკლესია, სასწავლებლები, ყოველი დაწესებულება და თვით ერიც გადაგვარების გზას დადგა. ამის შედეგი მეტად სავალალო გამოდგა: ხალხს მიწა არა აქვს და სიმშილით ჰკვდება; სწავლა-განათლება მოისპო; ერმა თავისი კულტურა დაჰკარგა, მიწა შემუშავებული არ არის, მრეწველობა არ არსებობს და ურთიერთაშორის განწყობილებაში თითქმის ველური, პირუტყვული მიდრეკილობა და ხასიათი გამეფდა.

სოფლებში ხშირად ჰნახავთ ისეთ ეზოსაც, სადაც ერთი ძირი ხეხილიც არ მოიპოება.

ქალაქებში ჰმეფობს ლოთობა და კრივი. სიველურე—ქუჩაში, სიველურე—ლიტერატურაში. დედა-ქალაქი კი თითქმის ხელიდან წავიდა.

დაიწყო პოლიტიკური მოძრაობა და უმეტესობამ—ჩვენ სოციალ-დემოკრატი ვართო და „ძირს! საქართველოს თავისუფლებაო?! რა არის ეს, კულტურა თუ ტეტიობა?

### მიზეზი ჩამორჩენისა და საშველი აღდგენისა.

საქართველო მდიდარი ქვეყანაა; ქართველობა ნიჭიერი ხალხია. ჩვენ ვერც ერთი მოვიხმარეთ, ვერც მეორე: ქვეყანა დავკარგეთ და ნიჭი ჩავიშრიტეთ. რათა? რა არის მიზეზი ჩვენი სიღარიბისა და უმეცრებისა?

ყოველი წინმსვლელობისთვის საჭირო არის **შრომა;** შრომისთვის—შრომის მოწყობა. მოწყობა ჰნიშნავს, როგორც თვითონ შრომის ორგანიზაციას, აგრეთვე ისეთ პირობათა შექმნას, რომელნიც შრომას ხელს შეუწყობენ. თუ საჭირო პირობები არ არის, შრომაც შეუძლებელია.

აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა ძალა არის შრომის მოსაწყობად საჭირო და ვის უნდა მიენდოს მისი მოწყობა.

შრომის მოწყობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თვითონ მასში დაინტერესებულია და თვითონ იღებს მონაწილეობას მის ასრულებაში. ასეთი არის ხალხი: შრომაში დაინტერესებული არის ხალხი, მუშაობს ხალხი და ამიტომ შრომის მოწყობა შეუძლია მხოლოდ ხალხს.

ამავე დროს ხალხს უნდა ჰქონდეს ნებაც, შესცვალოს ზოგიერთი ცხოვრების პირობა, თუ იგი ხელს უშლის შრომას. ამ ნებას ჰქვიან უფლება. ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება ამ გარემოებათა შეცვლისა და მოწესრიგებისა.

ხალხი უნდა იყოს იმ საქმეში ბრძანებელიც და ბრძანების აღმასრულებელიც.

ეხლა სულ უკუღმა არის მოწყობილი საქმე: ხალხის საქმეს უცხო პირები განაგებენ, რომელთაც ხალხთან არავითარი კავშირი არა აქვთ, ხალხის საჭიროების მით არა გაეგებათ რა; ამიტომ მათი ბრძანებაც თითქმის არასოდეს არ არის შეთანხმებული ხალხის საჭიროებასთან, ხალხის სურვილთან. ხალხის საჭიროება კი ყოველთვის იზრდება და ყოველთვის თხოულობს დაკმაყოფილებას.

### რომელი თავისუფლებაა საჭირო

ეს კითხვა მეტი არ არის. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ჩვენი ნებით ვიკისრეთ ზოგიერთი ვალდებულება რუსეთის წინაშე. 1783 წლის ხელშეკრულობის ძალით ჩვენ უნდა ვიყოთ რუსეთის ერთგული ქვეშევრდომი; მაგრამ ეს ქვეშევრდომობა მონობას კი არ ჰნიშნავს. არა, ჩვენ მხოლოდ უარი ვყავით ჩვენს უფლებას საერთაშორისო განწყობილებაში, გავხსენით ჩვენი საზღვრები რუსეთის ნაწარმოებისათვის და ჩვენი ჯარი დავაყენეთ რუსეთის ბრძანებლობის ქვეშ ომიანობის დროს. მხოლოდ ამ ხაზებით არის განსაზღვრული ჩვენი ეროვნული თავისუფლება, 1783 წლის ხელშეკრულობის ძალით. საქმეს თუ ჩავუკვირდებით, ამ ხელშეკრულობის ჩვენგან დარღვევა ჩვენთვის არც საჭიროა, არც სასარგებლო. რად გვინდა, რომ ჩვენი ელჩი იყოს ევროპაში ან ამერიკაში? პატარა საქართველოსათვის ყოველთვის ძნელი იქნება მარტო თავის ჯარით თავისუფლების დაცვა. მაშასადამე ზემო განსაზღვრული ქვეშევრდომობა ჩვენთვის საჭიროა და სასარგებლოც.

განვმარტოთ ეს აზრი. ბევრია ისეთი საქმე, რომელიც შეეხება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელს რუსეთის იმპერიასაც. აშკარაა, ასეთ საქმის გადაწყვეტა და წარმოება უნდა მიენდოს მხოლოდ საიმპერიო დაწესებულებას, ან როგორც ეხლა ამბობენ ხოლმე—ცენტრალურ ორგანოს. ჩამოვთვალოთ ეს საქმეები; ასეთი არიან:

ა) საერთაშორისო წარმომადგენლობა და დაცვა უცხო ქვეყნებში ჩვენი ინტესებისა;

ბ) ხარჯი საიმპერატორო სასახლისა;

გ) სამხედრო საქმე: ლაშქარი ზღვის და ხმელეთისა.

დ) სისტემა გადასახადისა საიმპერიო საჭიროებისთვის და კანონმდებლობა შესახებ დამოჟნისა;

ე) სისტემა ზომისა, წონისა და ფულის ჭრა.

ვ) დაცვა საავტორო საკუთრებისა და რაიმე ახალი გამოგონებისა.

ზ) უმთავრესი რკინისგზები, ფოსტა და ტელეგრაფი.

ჰ) საზოგადო კანონმდებლობა შესახებ ვაჭრობისა, ვექსილისა და სასამართლო პროცესისა.

აი ეს საქმეები უნდა იყოს ცენტრალურ ორგანოების ხელში. ეს არამც თუ ჩვენს თავისუფლებას არა სპობს, პირიქით, ხელს შეუწყობს ამ თავისუფლებას.

ხელს შეუწყობს მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი დანარჩენი საქმეები და საკითხავები, რომლებიც კი აღიძვრიან და წამოყენებული იქნებიან საქართველოში, გადაწყდებიან საქართველოშივე თვით ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენელთა კრებულში.

მაშინ შეგვიძლია მოვაწყოთ **შრომა**. შეგვიძლია უფრო სამართლიანად მოვაწყოთ მიწათ-მფლობელობა და მიწის-წარმოება და ამ გზით ფეხზე დავაყენოთ დღეს მშიერი გლეხი; შეგვიძლია მივეშველოთ მუშებს და თანდათან მოვსპოთ ექსპლოატაცია. მაშინ შევაერთებთ ხალხის ძალ-ღონეს: გავიყვანთ გზებს, ავწევთ მეურნეობას და მრეწველობას, მოვფენთ საქართველოს სკოლებით, მოვაწყობთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა, ეკკლესიას, სასამართლოს, პოლიციას: დაცული იქნება ჩვენი ტერიტორია და ენა და, როგორც თავისუფალი და განათლებული ერი, გავხდებით ღირსი წევრი კაცობრიობისა.

(შემდეგი იქნება)

**გიორგი გვაზავა.**

## დაუჯდომელი

—

საახალწლო მისვლა-მოსვლობის საშლოთო წერილში დაუჯდომელი ეწოდების, ზაქარია ჩიჩუას უცხო ენათა ლექსიკონში „ცენტრალიზაცია“ ე. ი. კონკრიხოში მისწრაფებული, წერტილოვანქმნული საყოველთაო ძალთა ამოძრავება.

ასეა თუ ისე, მე დღეს ვმოგზაურობ, მინდა ვინახულო: მტერი და მოყვარე, უცნობი და ნაცნობი, განურჩევლად მათის სქესისა, ეროვნებისა, ჯიბისა, ტვინისა, სახლისა, კარისა და ყოველისავე აგარაკისა მათისა. უპირველეს ყოვლისა ვეწვიე მეოცე საუკუნის საკვირველებას—ტფილისში სოლოლაკის ტუნელს. სივრცით და ჰაეროვნებით იგი ტფილისის თვითმართველობის კასას ემზგავსება, „სკვოზნიაკით“ ქართულ გაზეთების „ტატიებს“, წყალვარდნილობით ქართულ პოეტთა ბაგეს, გოლიათობით იონა მეუნარგიას, ილია ჭავჭავაძის სიკნინესთან. მე მით უფრო გავეშურე აქეთ, რომ გავიგე ნახალოვკა ჯურღმულში შეათრიესო. მართლაც, მივუახლოვდი თუ არა, შემომესმა შემდეგი კვნესა:

„ტფილისისა ჯურღმულ-ხვრელში
ნახალოვკა მიჯაჭვულა,
თავს ხმოსნები დასჩხავოდენ,
დაფლეთილი ჰქონდა გული!
მაგრამ რაღაც მანქანებით
ნახალოვკა არ კვდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ქძინა და ღამე კი
უცნაურათ იზრდებოდა!

დიახ, მიეჯაჭვნათ ნახალოვკა, არ ანთავისუფლებდენ მას, არც გამოსყიდვით, არც გამოუსყიდველათ; მაგრამ ის მაინც მღეროდა:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
ნახალოვკა გმირთა-გმირი,
უმალ მასვე დაამიწებს,
ვისაც უნდა მის სიკვდილი!

სიმღერა თუმცა გმირული იყო, მაგრამ მასში მაინც გამოითქმებოდა რაღაცა სევდა, ნაღველი, ათის წლის-ტანჯვა, მომავალი, როგორც აწმყო, ბურუსით მოცული. „უადვილეს არს ტფილისის ტონელში გაცურება, ვიდრე ოდენ ნახალოვკის ბედის გადაწყვეტა“ ჩავიწერე უბის წიგნის აქსიომათა ფურცელზე და გავეშურე სახალხო უნივერსიტეტისაკენ. აქ ველოდი სიამოვნებას, აქ მინდოდა მივყრდომოდი ოცნების თაიგულს, აქ მინდოდა მენახა **საყოველთაო განათლების** (კურსივი განათლების სამინისტროსია) საძირკველი.

აიხადა ფარდა, გამოვიდა ლექტორი. მან თითი ენაზე დაიდო, ვითარცა მეუდაბნოე იოანეს მამამ ღვდელმა ზაქარიამ, რომელიც ზეშთაგონებით დამუნჯდა. გამოვიდა არტისტი და შეჰყივლა გმირულათ. ის ეძებდა ნესტან დარეჯანს. ნესტან-დარეჯანი წყვდიადს შეებოჭნა.

სურათი მშვენიერი იყო. ამოვიღე უბის წიგნი და ჩავწერე აქსიომათა ფურცელზე „უადვილეს არს პურიშკევიჩის გარეცხვა, ვიდრე ოდენ ადგილობრივ ენაზე ლექციის მოსმენა და ქალაქის მართველობის მიერ სახალხო სახლის განათება“

შევიძინე ეს მეორე აქსიომა და წყაროს განათლებისას ავყე ზევ-ზევით, სათავისკენ. მინდოდა პირის-პირ მენახა თვით მზე, შევხებოდი მის დისკოს, და სად ვნახავდი მას თუ არ ტფილისის ჟურნალისტთა საზოგადოებაში“ „რაზლუკა ნე რაზლუკა, ჩუჟაია სტორონააა“ შემომესმა უცებ ხმა, ხმა შეკაზმული ბახუსის აღგზნებული გრძნობით. აქ იქნება მეთქი ნამდვილი სათავე თბილისის განმანათლებლებისა, ვიფიქრე მე და არც მოვსტყუვდი. „ულიცა, ულიცა, ტი პია“ უხმატკბილებდა ღამის სიჩუმეში „სმირნოვკა“. სერანძა და ხაჩატუროვი „ბოჟე მოის“ ხმაზე „წიწირნაკს“ მღეროდნენ. სწორეთ ეს არის, რასაც ეძებდი, „მორჩი და მოისვენეო“ უთხარ ჩემს თავს და გამოვძვერ ფანჯარაში. არც შევცდი, ყველაფრით ზედგამოჭრილი ნამდვილი „ტფილისის ჟურნალისტთა“ საზოგადოების კრება იყო;

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა,
ან მათ სტოლზე არყის ჰიქა,
კალბასი და სელიოდკა
ბლომათ ყრია აქა-იქა!
ვინ არ ნახოს საყვარელი,
ან მათ სტოლზე კაროლ-ტუზი,
განცვიფრებას შეუპყვრია
ალჯათი და იალბუზი!
აქ ხურდება ტფილისისა
„ჟურნალისტთა“ ქალი, კეფა
და შამფურით მორეული
აქვე აზრიც ითქვიფება!
აბა, ბიჭო, ბოთლს სტაქანი
მიაჯახე, დაჰკა მაგრა,
ვით ლურსმანმა ჩემსა თავში
რაღაც აზრი გაამაგრა!
ეხ, მოუსვი ხელეური,
ასე უნდა სჭამონ პური,
რედაქტორი რას გაიგებს,
პრასაა თუ ნიახური.

მშვენიერი მთვარიანი ზამთრის ღამე ოქროს სხივებით მოსავდა მათს სუფრას და ბუხრიდამ ცეცხლის ალი ვერცხლის შუქით ეალერსებოდა მათს შუბლს. მაგრამ სწორეთ ამ დროს პაპიროზის შავმა კვამლმა გადაუარა თავზე აჭრელებულს მდელოს. მათს თავზე ლეგა ღრუბლები გველივით იზლაზნებოდენ. ეჭვი არ იყო ტაროსი იცვლებოდა.

— აკაკის იუბილეზე დელეგატი უნდა გავგზავნოთ... გაისმა ოთახის კვამლით შებოჭვილ სივრცეში ერთი კამპანიონის ხმა, რომელიც ბახუსმა უცებ გააპატრიოტა.

— სუ! კრინტი! აღარ გაბედო! „უსტავის“ მოღალატევ! დაჰკივლეს ბრძოლის ველზე თავდავიწყებულ ამხანაგს დანარჩენებმა და კომბოსტოს თავი ჩაუდეს ყანყრატოში. შეიქნა მიწოლ-მიწოლა, ბოთლთა ზრიალი, სტაქანთა წკრიალი, ცილინდრ-ჩაფხუტთა სრიალი!, ჰკრეს ზურგი კარებს და გაშპენ! ყველა მათგანი ბრძოლის ველიდამ გამარჯვებული გავიდა, მოიგო აკაკიმაც, მაგრამ:

აქ იყო ჟურნალისტების
გულ-მტკიცე ამხანაგობა,
ისმოდა ყანწის ტრიალი,
ისმოდა მათი გალობა!
ცხოვრობდენ უზრუნველათა,
არ გრძნობდენ გაჭირვებასა,
ბევრჯელ ვისმენდი მე იმათ
ერთურთის ხოტბა-ქებასა;
მაგრამ უცებად გამიქრენ,
არყის ბოთლი კი აქ არი,
თან წარიტაცეს სახლისა
ქირა ბაჯაღლო—ქანქარი!

ჩაიკვნეს-ჩაიხმატკბილა დიასახლი მა და მეც ჩემს უბის წიგნში შევიტანე მესამე აქსიომა, თქმული იაპონიის მეფის მუცუკიტოს მიერ პორტარტურის აღების დროს: „მხოლოდ ის უნდა გაიკვირვო, რასაც არ მოელოდდე!“

ნასიამოვნები ახალი შეძენილ ჭეშმარიტებით, გავეშურე „დაცემულისკენ“. ასე ეძახიან დღეს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობას. „დაეცა, დაეცა, დაეეეცაა!“ იძახოდენ ერთნი, „ჭეშმარიტათ, ჭეშმარიტათ“, უდასტურებდენ მეორენი, მაგრამ ცოტა არ იყოს, მე რაღაც ეჭვი შემეპარა. „აღახვენით ბჭენი თქვენნი მთავარნო და შევიდეს მეუფე ურიათა!“ მივუკაკუნე „ალის“ რედაქციის კარებს.

— ვინ არს ეგე მეუფე ურიათა!

— იროდი არს მეუფე ურიათა! იყო ხმა ჩემი და ველირსე სიმოთხეს: ღმერთო, ჩემო, რა სიამოვნება ვიგრძენ, როდესაც ჩემი ეჭვი გამართლდა. რამდენად მეტს ვსინჯავდი ძველი „იმედის“ ფურცლებს და ახალი „ალის“ გვერდებს, იმდენათ უფრო ვრწმუნდებოდი ჩემს სიმართლეში. დიახ, ტყუილათ სტირით, ბატონებო, იქ სადაც თქვენ გელანდებათ „დაცემა“, ნამდვილი აღორძინება და გაფურჩქვნა ჩვენის ლიტერატურისა. რა გნებავთ რომ ამ გაზეთებში არ იპოვოთ: დრამა, ტრაგედია, ფარსი, დუელი, ელვა და ქუხილი ღვარძლქაფი და ცეცხლი მრჩობლორკეცი აღტყინებული გრძნობა! ყველა ამისთვის გაზეთს ყოველდღე ფართო ადგილი აქვს დათმობილი. თითქმის თვისი ნახევარი შეუწირნია მათთვის:

**„პასუხის პასუხი ბ. ლ. გოგიძეს“** ჰკითხულობთ მოთხრობას და ჟრუანტელი გივლით ხერხემალში.

**„ბატონო ბაგრატ თოროზოვო** გიწვევთ გამომყვეთ სამართალში და გაფრთხილებთ..... „გიდგებათ თმა ყალყზე და სუნავთ ოდეკოლონს.

**„დაბა სურამის მცხოვრებ ლუარსაბ მურვანიშვილს“** ჰბეჭდავს გაზეთი ამავე ნომერში პოემას.

ეხლა კი **„პორფილე შალანბერიძესო“** გვატყობინებს რედაქტორი მეორე დღეს. ერთი სიტყვით დრამა დრამაზე, პოემა პოემაზე, სულ „შედევრი“, ყველა საუცხოვო! და ამის შემდეგ განა შეიძლება „დაცემაზე“ ლაპარაკი, ამის შემდეგ განა მართალია ია ეკალაძე, არ გვიბეჭდავენ რედაქტორები ნაწერებსო. ფიგ! წაიკითხეთ აბა, როგორ სწერს ვიღაცა გაზ. „ალში“, - ვინც ჩვენში გამტყუნდეს „ალის“ სასარგებლოდ ფული გადაიხადოსო.

როგორც მკითხველი მიხვდება, აქ მომქმედ პირად ავტორს თვისსა და თვისს მოპირდაპირეს გარდა გამოჰყავს კიდევ მესამე პირი. ეს გახლავთ თვით „ალის“ რედაქცია. მთელი ტრაგიზმი კი ტრიალებს პოლიტიკურ-ეკონომიურ - ქანქარულ საკითხში.

უნიჭიერესათ დაწერილის და გაზეთის მიერ გულში ჩახუტებული ეტიუდის წაკითხვით ვის არ აეშლება ნერვები. მეც ასე დამემართა და მოუსვი კახეთისაკენ დასამშვიდებლად. ვნახე თელავი, მას ნამდვილი თავის მაგიერ „თავის“ „პოპოშნიკი“ ედგა კისერზე.

ჩავუარე სიღნაღს, ვნახე გორი, ხონი, მაგრამ მათზე ვერაფერს მოგახსენებთ, ვინაიდგან რიგიან საზოგადოებაში ცოტა არ იყოს სათაკილოთ მიაჩნიათ მათი ხსენება: ვეახელ ქუთაისსაც. აკაკის იუბილედამ სამი კვირაა გასული, მაგრამ ქალები მაინც ცაში ფრინავდნენ. ჯერ კიდევ სახიფათო წერტილზე მაჩვენა მისი ძარღვის ცემა. სალორიას ტყეში მამალი ყიოდა. „ქალაქს ვაშენებთო“ ამიხსნეს ქუთაისელებმა. რიონი ადიდებულიყო, ანტრეპრენიორ ბალანჩივაძის ცრემლების ბრალიაო, ამიხსნეს მათვე მოვშორდი თეატრის სამგლოვიარო კორტეჟს და ბათუმისკენ დავაპირე წასვლა. დოქტორი ვეგონები „ექსს“ მიზამს მეთქი ვიფიქრე და გაუხვიე ფოთისკენ, როგორც დაღლილს სირინოზს ზღვის ტალღებზე ისე ეძინა მას ნიკოლაძის მკლავზე. რომ გაიღვიძოს, მოკვდებაო, შემატყობინა მან და მეც გავსწიე სოხუმისკენ; ვიღაც ოცლილებს მისთვის ქალაქი უწოდებიათ. აქედამ კი მთელის ჩემის ბარგი-ბარხანით გავეშურე პეტერბურგისკენ, სადაც, როგორც ცენტრში, თავს იყრიან პროვინციის ძაფები. აქ პურიშკევიჩის წინ იდვა წერტილი, ანუ გული მთელი რუსეთისა.

მშვენიერი ხარ, ჩემო სამშობლო,
ორი ზღვის შუა წელ-შეკაზმული,
ერთი თვის შემდეგ პურიშკევიჩი
მოგესალმება შეყვარებული!
„ცენტრში“ დასვამენ შენზე საკითხსა,
დაჰკრავენ ბუკსა და ნაღარასა,
ახალწლის თავზე ძღვნათ მოგართმევენ
პეტერბურგიდან ახალ კურტანსა.

მღეროდა ჩანგი მწარე წინასწარმეტყველისა.

**ი. ევდოშვილი.**

# ახალი ამბები

—:—

✦ ჩვენი გაზეთის ყველა თანამგრძნობს ვთხოვთ შესაფერი ცნობები მოგვაწოდონ პროვინციიდან.

**ტრამვაის უფასო ბილეთები.** ტფილისის ტრამვაის გამგეობას ბრიუსელში ყურადღება მიუქცევია ტრამვაიზე უფასო ბილეთების რაოდენობისათვის. თურმე სულ 2200-მდე ასეთი ბილეთი ყოფილა გაცემული, ამაში 250 ხელშეკრულობის ძალით ტფილისის თვითმართველობას ეძლევა, დანარჩენი ტრამვაის მოსამსახურეებს, მათ ოჯახობას, სხვა და სხვა დაწესებულებას და კერძო პირს ჰქონია წაღებული. ტრამვაის გამგეობას შეუძლებლად უცვნია ამდენ უფასო ბილეთის გაცემა და ტფილისიდან ამ ბილეთების სრული სია მოუთხოვია. საფიქრებელია, რომ სიას შეამცირებენ.

✦ **ხელმწიფის მადლობა.** ქუთაისის თავად-აზნაურობამ ხელმწიფეს პურიშკევიჩის სიტყვის გამო საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა; ამ დეპეშაზე თავადაზნაურობას ახლა ხელმწიფისაგან გულწრფელი მადლობის გამოცხადება მოსვლია.

✦ მთავრობას განუზრახავს სომეხ პარტიას „დაშნაკცუტიუნს“ ბოლო მოუღოს. როგორც ვიცით, ამ უკანასკნელ დღეებში მრავალი სომეხი ინტელიგენტი დაიჭირეს, განსაკუთრებულ გამომძიებლისათვის მიუნდვიათ ეს საქმე. გამომძიებელი რუსეთიდან დაიბარეს. დასაცველად მას რამდენიმე პოლიციელი და სტრაჟნიკი ეყოლება მიჩენილი. როგორც ამბობენ, მთავრობას ამ პარტიის შესახებ აუარებელი მასალა ჩავარდნია ხელში. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თურმე პარტიის ეროვნულ მისწრაფებას, „მემარჯვენეთა დაჟინებით გამეორებულმა ბრალდებამ,— სომხები მომავალ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვის ნიადაგს ამზადებენ კავკასიაშიო და ამ იდეალის ალმასრულებლად „დაშნაკცუტიუნის“ დაახელებამ სურვილი გამოიწვიეს—უფრო დაახლოვებით გაეცნონ ამ პარტიის მოქმედებას და მისი გაძლიერება შეუძლებლად გახადონ.

✦ როგორც მკითხველებმა იციან ტფილისის საოლქო სასამართლომ წარსულს დეკემბერში გადაუწყვიტა დუშეთის ხაზინის გაცარცვის გამო 5 კაცს კატორღა და სამ კაცს ციხეში დაპატიმრება, მხოლოდ ოთხი გაამართლა.

პირველმა რვავემ აპელაცია გადაიტანეს პალატაში, მხოლოდ პროკურორმა თავის მხრივ ეს განაჩენი არ განასაჩივრა. პალატისავე დადგენილებით ყველანი იმათ გარდა, რომლებსაც კატორღა აქვთ გადაწყვეტილი, დაპატიმრებისაგან განთავისუფლებული არიან.

✦ ის მამულებისთვის, რომელიც ვერ გაიყიდა 29 დეკემბერს თფილისის საკრედიტო საზოგადოების ვაჭრობაზედ დანიშნულია მეორე ვაჭრობა, რომელიც მოხდება ამავე საზოგადოებაში 8 იანვარს.

განმეორებითი ვაჭრობა მამულებისა თფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში მოხდება 13 იანვარს.

✦ ხვალ 6 იანვარს, „თფილისის კრუჟოკის“ დარბაზში გამართული იქნება ჩვეულებრივი სათავადაზნაურო ბალი.

მთელი შემოსავალი გადაეცემა თფილისის ქართულ გიმნაზიას.

გამგე ბალისა კნეინა იულია კონსტანტინეს ასული თუმანიშვილისა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ამ საღამომ კარგათ ჩაიაროს.

ქართული საზოგადოება, უეჭველია, არ დაზოგავს ფულს, რომ დახმარება აღმოუჩინოს ქართულ სწავლა განათლებას, ე. ი. ჩვენს გიმნაზიას.

✦ დღეს 5 იანვარს, წყალკურთხევის წინა დღეს თეატრებში წარმოდგენები არ იქნება.

✦ პოლონელ დეპუტატებისა მეთაურს დმოვსკის დეპუტატობაზე უარი გაუცხადებია მიზეზი—ამომრჩეველთა უკმაყოფილება იმ ტაქტიკისა გამო, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს დაადგენ სახელმწიფო სათათბიროში პოლონელი დეპუტატები; ეს ტაქტიკა მემარჯვენე ცენტრთან შეთანხმებაა. პოლონელ საზოგადოებას შესაძლებლად არ უცვნია იმ პარტიასთან შეთანხმება, რომელიც თვითონ ვერავითარ გარკვეულ პოლიტიკას ვერ დასდგომია და მუდამ მთავრობის სურვილების ასრულებას ცდილობს. პოლონელ დეპუტატებს აზრად ჰქონდათ—მხარი დაეჭირათ ოქტომბრისტებისათვის საერთო შინაურ პოლიტიკაში და სამაგიეროთ პოლონეთისთვის რამე შესაფერისი რეფორმები მიეღოთ. ოქტომბრისტებიც დაპირდენ, —თვითმართველობა უნდა შემოეღოთ პოლონეთში, მაგრამ ასრულებაზე რომ მიდგა საქმე კიდევ ერთი წლით გადასდეს რეფორმა, —ჯერ მასალები არა გვაქვს შეგროვილი და შემუშავებულიო. ასეთმა პასუხმა პოლონელი საზოგადოება გააბრაზა და დმოვსკის პოლიტიკას უკანასკნელი მომხრეები ჩამოაცალა.

**ქართული თეატრი.** ორშაბათს, 7 იანვარს 1909 წელს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ლემონიესი **„ხელები“**, დრამა 5 მოქმ., თარგ. ნ. ნაკაშიძისა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. წარმოსადგენათ მზადდება: „ლალატი“, „მემკვიდრე პრინცი“, „სალხინო“ და სხვა.

## ჩემი დღიური

არჩილ ჯაფარიძის დასაფლავებამ ერთხელ კიდევ გამართა წელში ის ბანაკი, რომელიც ამ სამი წლის წინეთ საქართველოს ბრძანებელი იყო, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში ქართველ ერის წარმომადგენლობას კისრულობს, თუმცა აქ, საქართველოში, რეაქციისა და ხალხში ახალ მიმართულების გაძლიერების გამო, აშკარა მოქმედებას ვერ ბედავს.

ეს ახალი მიმართულება—ეროვნულ გრძნობის გამომსახველი—თანდათან იზრდება, მისი უკანასკნელი გამარჯვება და დღესასწაული იყო ყველასათვის საყვარელ მგოსნის, აკაკის, 50 წლის იუბილე. აქ, ტფილისში, ამ იუბილეზე პირველად გაისმა მძლავრი ხმა ეროვნულ მისწრაფებისა, აქ, ამ იუბილეზე აშკარად გამოჩნდა ამ მისწრაფების ზრდა,—საქართველოს ყოველ კუთხიდან, ქართველ ერის ყველა ნაწილისაგან, სხვა და სხვა მიმართულების ქართველებისაგან ერთი და იგივე სიტყვები გაისმა, ერთისა და იმავე გრძნობით იყო გატაცებული ყველა,—საყვარელ მგოსანს ქართველ ერის გამოფხიზლებას ულოცავდენ, ეროვნულ გრძნობის განმტკიცებისათვის მადლობას ეუბნებოდენ.

ეს გრძნობა მხოლოდ ამ დღესასწაულისათვის მოგონილი არ იყო,—ტფილისს ბანი მისცა საქართველოს ყოველმა კუთხემ და ყველგან, აკაკის ადგილობრივ დღესასწაულზე, ისევ იმ გრძნობით მოვიდა ხალხი, რა გრძნობითაც გატაცებული იყო ტფილისში აკაკის იუბილე,—ქართველების ეროვნული დღესასწაული.

ამ დღესასწაულზე დიდი ერთფეროვნება სუფევდა,—რაღაც უცნაურ და ზოგიერთზე თან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ის გარემოება, რომ ყველა დეპუტაცია, ყოველი მოლაპარაკე, ყოველი ადრესის შემდგენელი ერთსა და იმასავე ამბობდა, იმასავე სწერდა. თითქო მოისპო თავისებურება და ეს ერთფეროვნება თითქო ქართველ ერის გონებრივ სიღატაკის გამომხატველი ყოფილიყო.

ჩვენზე ამ ერთფეროვნებამ სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი ხნის დაგუბებულმა ეროვნულმა გრძნობამ აქ, ამ დღესასწაულზე, პირველად ამოხეთქა,—ყველა სიტყვა და ადრესი ამ ერთი გრძნობით იყო გამოწვეული,—აკაკის დღესასწაულზე ყველა ძალა-უნებურად ამ გრძნობას, ეროვნულ იდეას დღესასწაულობდა, როგორც მოსიყვარულე დედა დიდი ხნის უნახველ შვილს გულში იკრავს და ერთსა და იმავე ალერსის სიტყვას იმეორებს, ისე ქართველი ერიც გულში იკრავდა საყვარელ აკაკის და ეროვნულ გრძნობის გამომხატველს ერთსა და იმავე სიტყვებს ამბობდა.

ეროვნულ გრძნობის განმტკიცებამ, რომელსაც აუცილებლად უნდა მიჰყვეს დღემდის ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების შესუსტება, ახალ პოლიტიკურ პარტიის შექმნა, ახალ პროგრამების შემუშავება,—ამ გრძნობის გაძლიერებამ ჩააფიქრა ხსენებულ პარტიების მეთაურები.

საჭირო იყო თავის გამოფენა ხალხში,—ხალხს უნდა სცოდნოდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალ არს პოლიტიკური პარტია, რომელიც ამ სამი წლის წინეთ ქართველ ერის პოლიტიკურ ცხოვრების სათავეში იდგა და მის მესაიდუმლედ ითვლებოდა.

არჩილ ჯაფარიძის გარდაცვალებამ მის პარტიას „ქუჩაში გამოსვლის“ საშუალება მისცა... აკაკის იუბილე ქართველ ერის ეროვნულ გრძნობის დღესასწაული თუ იყო, არჩილ ჯაფარიძის დასაფლავება იყო ჩვენებურ ს.-დემოკრატიის დღესასწაული: აქაც სამგლოვიარო სიტყვები,—პოლიტიკურ იდეალების გამომხატველი, აქაც ხალხი, საქართველოს ყოველ კუთხიდან თანაგრძნობის დეპეშები და გაზეთის სამგლოვიარო ნომერი, განსვენებულის სახსოვრად გამოცემული.

მაგრამ ჯაფარიძის დასაფლავება აკაკის იუბილესავით მნიშვნელოვანი როდი გამოდგა. ჯაფარიძის დასაფლავებამ პირიქით დაგვანახა ჩვენ, რომ ის პოლიტიკური პარტია, რომლის წევრად და მეთაურად ითვლებოდა განსვენებული, და რომელიც ბატონობდა საქართველოში, ხშირად ამ პარტიის მოწინააღმდეგე ელემენტების დახმარებითაც სარგებლობდა. ი. მერკვილაძის პირით ტფილისის წვრილმა ვაჭრებმა აღიარეს თავიანთ მხრივ, რომ წინეთ, მაგ. თვით ჯაფარიძის არჩევანში, ამ დახმარებას უწევდენ პარტიას და ახლაც ამ დასაფლავებას პარტიის წევრებთან ერთად დაესწრენ, რომ უკანასკნელი სალამი ჩასძახონ ამ წუთისოფელს უდროვოდ მოშორებულს.

აკაკის იუბილეს შემოქმედებითი მნიშვნელობა თუ ჰქონდა, აკაკის იუბილეზე თუ განმტკიცდა ახალი გრძნობა და ამ იუბილემ ქვეყანას თუ დაანახა ძალა და სიმტკიცე იქ, სადაც სხვებს სრული არარაობა ეგონათ,—არჩ. ჯაფარიძის დასაფლავებამ პირიქით ოდესმე მტკიცე და ძლიერ პოსტიის სისუსტე გვიჩვენა.

მართლაც, განა დაერქმის ძლიერი იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც გამარჯვებული რჩება მოწინააღმდეგეთა დროებით დახმარების საშუალებით? სხვა დროს, სხვა პირობებში ეს შემთხვევითი დამხმარენი ადვილად ჩამოშორდებიან და მას ძლიერებას ჩამოაშორებენ.

ხსენებულ პარტიასაც 1905 წლის შემდეგ ჩამოშორდენ ასეთი შემთხვევითი ელემენტები და აკი მოასუსტეს იგი ამითი, ძირს დასცეს და თითქმის არარად გახადეს.

ამ მხრავ არჩ. ჯაფარიძის დასაფლავებას დიდი დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს.

**მეთვალყურე.**

## „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

(ლ. ანდრეევის პიესა).

თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ლ. ანდრეევს უთუოდ საპატიო ადგილი უჭირავს, ამის შესახებ ორი აზრის ქონა ყოვლად შეუძლებელია; მწერალი დიდი მხატვარია, მაგრამ სად? ყველამ ვიცით, რომ მხატვარი მხოლოდ იმას დაერქმევა, ვინც თავისდადამოუკიდებლად გრძნობებსა და გონებას განუყრელად ამუშავებს: გრძნობათა საშვალებით სინამდვილის სხვა და სხვაობას გონებაში გაერთიანებულს თავის ნაწარმოებში ჩამოასხამს. რამდენათ მხატვარი მეტს ფიქრობს, მეტს იგონებს, იმდენათ ის უარყოფს თავის თავს, იმდენათ ის მხატვარი არ არის. ასე მოსდის ანდრეევსაც. როდესაც იგი გრძნობათა სამფლობელოს ნიადაგზე მოქმედებს, როდესაც ის სინამდვილის სიმართლეს ეხება—ის შეუდარებელი, ნამდვილი მხატვარია; როდესაც კი ანდრეევი მართალ გრძნობებს შეგნებულად გონებას უქვემდებარებს, ფეხის ხმას, თანამედროვე ავათმყოფ მიმართულებას ლიტერატურაში ბაძავს—ის ლ. ანდრეევი აღარ არის, აქ მხატვარი ადგილს უთმობს სუსტ მოაზრე—ფანტაზიორს.

ხსენებულ აზრის გასამართლებლად საკმაოა მკითხველმა შეადაროს ისეთი ნაწარმოები, როგორიც არიან: „უფსკრული“, „მოთხრობა შვიდ ჩამოხრჩობილთა შესახებ“, „ვარსკვლავთაკენ“, „ადამიანის ცხოვრება“ „მეფე შიმშილი“ და „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ეს უკანასკნელი იმ დროს შექმნა, სასიხარულოდ, ანდრეევმა, როდესაც მასში მხატვარმა გაიმარჯვა და თავისი უნიადაგო „სიმბოლიზმი“ უარაყოფინა,-შექმნა და დაანახვა შეგნებულ საზოგადოებას, თუ რა შეუდარებელი მხატვარია იგი, როდესაც სინამდვილის ნიადაგზედა სდგას.

„დღენი ჩვენი ცხოვრების“ შესანიშნავი სურათია, რომელიც თანამედროვე ახალგაზდობის,—სტუდენტობის მდგომარეობას გვიხატავს, მის უხასიათობას, ძლიერ სისუსტეს, მიუხედავად იმისა, რომ მასში ადამიანური სული სჩქეფს და სდუღს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მისწრაფება მხოლოდ კეთილი და სიმპატიურია: სულიერი ძალა, ენერგია არ შესწევს ამ კეთილის განსახორციელებლად..... და.... და ღვინოში, არაყში ეძებს თავდავიწყებას, ბოთლების ცლაში ხარჯავს თავის „ენერგიას“, „ტვერის ბულვარზე“ და „ვორობიოვის გორაკზე“ მხედრდება და ისიც ღვინის სმის, „პიკნიკის დროს“ უსამართლობის, „მეშჩანობის“ წინაამდეგ.

ასეთია ამ ჟამად რუსეთში სტუდენტობა, ეს სიმართლეა უმრავლესობის შესახებ და ამიტომ ტყუილად უკიჟინებენ ანდრეევს, „სიმართლეს მოკლებულია შენი დრამაო“, ან ეს პიესა მხოლოდ პატარა ჯგუფის შესახებ არის მართალიაო“. დიახ ასეთია სტუდენტობა.....მაგრამ არა

